



შპს ბი ენდ პი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
და
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	9
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	10
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	11
1. კომპანია და მისი საქმიანობა.....	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	11
3. ძირითადი საშუალებები.....	17
4. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....	18
5. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.....	18
6. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები.....	18
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	19
8. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.....	19
9. შემოსავალი.....	19
10. გაწეული მომსახურების თვითღირებულება.....	19
11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	19
12. ფინანსური ხარჯი (ნეტო).....	20
13. ფინანსური იჯარა.....	20
14. ფინანსური ინსტრუმენტები.....	22
15. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები.....	22
16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	22
17. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები.....	24
მმართველობითი ანგარიში.....	26
1. კომპანია და მისი დამფუძნებლები.....	26
2. შემოსავლები.....	26
3. ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები.....	27
4. საქმიანობის განვითარების გეგმები.....	28
5. დასაქმებულთა რაოდენობა.....	28
6. გარემოს დაცვის საკითხებზე თუ რაიმე ტიპის ზეგავლენას ახდენს კომპანია და ჩატარებული აქვს რაიმე სახის კვლევა.....	28
7. ფინანსური რისკების გარდა კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავი ანალიზი.....	28
8. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	28
9. რისკების მართვა.....	28
10. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია.....	28
11. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა.....	29
12. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები.....	29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ვის: შპს “ბი ენ პი”-ს დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “ბი ენ პი”-ს (შემდგომში ტექსტში კომპანიის) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლისა, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებათაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან *ფინანსური ანგარიშგება მოცემულია აუდიტის დასკვნის შემდეგ 8-42 გვერდზე*).

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილი საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი *(ქვემოთ თანხები მოცემულია ათას ლარებში თუ სხვაგვარად არ იქნა მინიშნებული)*

ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნა ნომერ 12 (ფინანსური იჯარა) განმარტავს, რომ: კომპანიის მენეჯმენტი ფოთის პორტთან დადებული ტერმინალების და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების იჯარის ოპერაციას განიხილავს როგორც ტერმინალის საოპერაციო იჯარას და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების ფინანსურ იჯარას. მენეჯმენტმა ტერმინალთან დაკავშირებული მოწყობილობების შეფასებული სამართლიანი ღირებულება და „ნაგულისხმევი“ საპროცენტი განაკვეთის გამოყენებით მოახდინა მთლიანი სახელშეკრულებო გადასახადების განაწილება ფინანსურსა და საოპერაციო იჯარას შორის. მსს ფასს სპეციფიკურად არ განიხილავს ასეთ სახის ოპერაციას, თუმცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდტი (ბასს) 17 მე-16 პარაგრაფი განიხილავს საკითხს მიწისა და შენობა-ნაგებობის იჯარასთან დაკავშირებით: „მინიმალური საიჯარო გადასახადი (ხელშეკრულებამდე გადახდილი ნებისმიერი საერთო თანხის ჩათვლით) უნდა განაწილდეს მიწასა და შენობა-ნაგებობებს შორის იჯარის დასაწყისში, საიჯარო ქონების რეალურ ღირებულებაში მიწის ელემენტისა და შენობა-ნაგებობის ელემენტის პროპორციულად“. საიჯარო ქონების რეალურ ღირებულებაში მიწის ელემენტისა და შენობა-ნაგებობის ელემენტის შეფასება მოითხოვს მიწის ელემენტისა და შენობა-ნაგებობის ელემენტების განცალკევებული სამართლიანი ღირებულების შეფასებას. მართალია ეს საკითხი პირდაპირ არ ეხება კომპანიის იჯარის ოპერაციას, თუმცა იგივე მიდგომის გამოყენება შესაძლებელი იყო ტერმინალისა და ტერმინალთან დაკავშირებული ქონების იჯარის გადასახადების განაწილების მიზნით. ტერმინალების შეფასების კომპლექსურობიდან გამომდინარე კომპანიის მენეჯმენტმა მოახდინა მხოლოდ ტერმინალთან დაკავშირებული მოწყობილობების შეფასება და მთლიანი სახელშეკრულებო გადასახადები დაანაწილა ამ მონაცემით და ნაგულისხმევი საპროცენტი განაკვეთის გამოყენებით.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში რელევანტური მოწყობილობების მიმდინარე საბალანსო ღირებულების, ფინანსური იჯარის ვალდებულების, ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯის და ტერმინალის საოპერაციო იჯარის ხარჯის წარდგენილი მონაცემების ამსახველი ცხრილი:

	2019 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის	2018 წლის 1 იანვრისათვის
ფინანსური იჯარით აღებული მანქანა დანადგარები	5,181	5,620	6,059
ფინანსური იჯარის ვალდებულება	6,533	6,705	7,083
ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯი	829	813	
ტერმინალის საოპერაციო იჯარის ხარჯი	13,094	11,327	

საიჯარო გადასახდელების განაწილება რომ მომხდარიყო ტერმინალისა და ტერმინალთან დაკავშირებული ქონების რეალური ღირებულებათა მიხედვით მაშინ შესაძლოა ზემოთ მოცემულ ანგარიშგებაში ასახული მონაცემები ყოფილიყო განსვავებული.

ჩვენ მიგვაჩნია რომ საიჯარო ქონების რეალურ ღირებულებაში მიწის ელემენტისა და შენობა-ნაგებობის ელემენტის შეფასება და მის ფასს მოთხოვნების თანხვედრა შესაძლებელია მიწის ელემენტისა და შენობა-ნაგებობის ელემენტების განცალკევებული სამართლიანი ღირებულების შეფასების გზით. ჩვენთვის შეუძლებელი იყო ზემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების დადასტურება ან შემოწმება სხვა ალტერნატიული პროცედურებით. ზემოთაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ზემოაღნიშნულ თანხებში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ((შემდომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მიერ 2020 წლის 30 ივნისით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 23 გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას და, გარდა, ქვემოთ, - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა, არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა, ქვემოთ, - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნობთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში ასახული შეზღუდვის გამო, ჩვენ ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ მიმართებით, გარდა ამისა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსურ ანგარიშგებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რამე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი

განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და, ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომში, ტექსტში, კანონი) კომპანია პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2020 წლის 30 ივნისი დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 23-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2020 წლის 30 ივნისი თბილისი, საქართველო

განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და, ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომში, ტექსტში, კანონი) კომპანია პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2020 წლის 30 ივნისი დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკონსოლიდა წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 23-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.


ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2020 წლის 30 ივნისი თბილისი, საქართველო



შპს“ზი ენდ პი”

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	7,166	8,006	7,973
არამატერილური აქტივები		-	1	1
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,166	8,007	7,974
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	4	715	842	823
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	5	3,987	3,961	6,229
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	6	218	1,990	629
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	2,831	985	2,097
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,751	7,778	9,778
სულ აქტივები		14,917	15,785	17,752
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		257	257	257
გაუნაწილებელი მოგება		5,528	5,825	8,245
სულ საკუთარი კაპიტალი		5,785	6,082	8,502
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ფინანსური იჯარა გრძელვადიანი ნაწილი	13	5,740	5,958	6,352
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,740	5,958	6,352
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ფინანსური იჯარა მოკლევადიანი ნაწილი	13	793	747	731
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		596	596	596
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	8	2,001	1,863	1,333
გადასახდელი დივიდენდები		2	539	238
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,392	3,745	2,898
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		14,917	15,785	17,752

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2020 წლის 30 ივნისი

ზნ. ჯუმბერ ცომაია, გენერალური დირექტორი

შპს“ზი ენდ პი”

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2019 დასრულებული წლისათვის	31.12.2018 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	25,147	17,996
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	10	(20,131)	(17,607)
საერთო მოგება		5,016	389
სხვა შემოსავალი (მოკლევადიანი იჯარა)		12	24
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	11	(1,994)	(1,754)
ფინანსური ხარჯი (ნეტო)	12	(1,298)	(1,015)
სხვა ზარალი		(33)	(64)
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)		1,703	(2,420)
სულ მიმდინარე წლის სრული მოგება/(ზარალი)		1,703	(2,420)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2020 წლის 30 ივნისი

ბნ. ჯუმბერ ცომაია, გენერალური დირექტორი

შპს“ზი ენდ პი”

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	25,351	20,857
მომწოდებლებისთვის და მომუშავეებისთვის გადახდილი	(20,128)	(20,217)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	5,223	640
გადახდილი პროცენტი	(829)	(813)
მიღებული პროცენტი	61	46
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	4,455	(127)
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(6)	(395)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(6)	(395)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(2,000)	-
გადახდილი ფინანსური იჯარის ძირი	(632)	(569)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(2,632)	(569)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	1,817	(1,091)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	985	2,097
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი	29	(21)
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	2,831	985

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2020 წლის 30 ივნისი

ბნ. ჯუმბერ ცომაია, გენერალური დირექტორი

შპს “ბი ენდ პი”

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	257	8,245	8,502
წლის ზარალი	-	(2,420)	(2,420)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	257	5,825	6,082
გაცემული დივიდენდები	-	(2,000)	(2,000)
წლის მოგება	-	1,703	1,703
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	257	5,528	5,785

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და
ხელმოწერილ იქნა 2020 წლის 30 ივნისი

ზნ. ჯუმბერ ცომაია, გენერალური დირექტორი

შპს "ბი ენდ პი"


2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	7,166	8,006	7,973
არამატერიალური აქტივები		-	1	1
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,166	8,007	7,974
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	4	715	842	823
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	5	3,987	3,961	6,229
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	6	218	1,990	629
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	2,831	985	2,097
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,751	7,778	9,778
სულ აქტივები		14,917	15,785	17,752
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		257	257	257
გაუნაწილებელი მოგება		5,528	5,825	8,245
სულ საკუთარი კაპიტალი		5,785	6,082	8,502
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ფინანსური იჯარა გრძელვადიანი ნაწილი	13	5,740	5,958	6,352
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,740	5,958	6,352
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ფინანსური იჯარა მოკლევადიანი ნაწილი	13	793	747	731
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		596	596	596
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	8	2,001	1,863	1,333
გადასახდელი დივიდენდები		2	539	238
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,392	3,745	2,898
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		14,917	15,785	17,752

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2020 წლის 30 ივნისი

ბნ. ჯუმბერ ცომაია, გენერალური დირექტორი



შპს "ბი ენდ პი"


2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2019 დასრულებული წლისათვის	31.12.2018 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	25,147	17,996
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	10	(20,131)	(17,607)
საერთო მოგება		5,016	389
სხვა შემოსავალი (მოკლევადიანი იჯარა)		12	24
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	11	(1,994)	(1,754)
ფინანსური ხარჯი (ნეტო)	12	(1,298)	(1,015)
სხვა ზარალი		(33)	(64)
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)		1,703	(2,420)
სულ მიმდინარე წლის სრული მოგება/(ზარალი)		1,703	(2,420)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2020 წლის 30 ივნისი

ბნ. ჯუმბერ ცომაია, გენერალური დირექტორი



შპს "ბი ენდ პი"


2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	25,351	20,857
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი	(20,128)	(20,217)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	5,223	640
გადახდილი პროცენტი	(829)	(813)
მიღებული პროცენტი	61	46
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	4,455	(127)
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(6)	(395)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(6)	(395)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(2,000)	-
გადახდილი ფინანსური იჯარის ძირი	(632)	(569)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(2,632)	(569)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	1,817	(1,091)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	985	2,097
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი	29	(21)
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	2,831	985

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2020 წლის 30 ივნისი

ბნ. ჯუმბერ ცომაია, გენერალური დირექტორი



შპს "ბი ენდ პი"


2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	257	8,245	8,502
წლის ზარალი	-	(2,420)	(2,420)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის	257	5,825	6,082
გაცემული დივიდენდები	-	(2,000)	(2,000)
წლის მოგება	-	1,703	1,703
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის	257	5,528	5,785

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და
ხელმოწერილ იქნა 2020 წლის 30 ივნისი

ბნ. ჯუმბერ ცომაია, გენერალური დირექტორი



ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ბი ენდ პი“ (კომპანია) დაარსდა 2003 წლის 19 მარტს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო კოდი: 215120223). კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფოთის პორტში ტვირთის ინსპექტირება, ჩატვირთვა/გადმოტვირთვის სამუშაოების შესრულება. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. ფოთი, ტაბიძის ქ. N 3.

2019 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის წილის მფლობელებს წარმოადგენდნენ: მისი დედა კომპანია შპს ტრანსფორდი 80% (საიდენტიფიკაციო კოდი: 404386151) და შპს ვილჰელმსენ შიფს სერვის ჯორჯია 20% (საიდენტიფიკაციო კოდი: 204564514). შპს ვილჰელმსენ შიფს სერვის ჯორჯიამ შეისყიდა კომპანიის 20 % პროცენტის წილი შპს ბარვის ჯორჯიასგან 2019 წლის დეკემბერში. სხვა ცვლილება დამფუძნებლების სტრუქტურაში არ მომხდარა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ არის წარმოდგენილი ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

2.2 მსს ფასს-ების პირველადი დანერგვა

ეს არის კომპანიის მიერ მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ამ მიზნით საწყისი ბალანსი 2018 წლის 1 იანვრისათვის (მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღი) მომზადებულია მსს ფასს შესაბამისად. 2018 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის კომპანიამ მოამზადა და გაასაჯაროა ფინანსურ ანგარიშგებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მასში მოცემული მონაცემები უცვლელად ასახულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაში შესადარის ინფორმაციის სახით, მსს ფასს დანერგვას არ გამოუწვევია ცვლილებები ამ მონაცემებში. ამდენად, ახსნა-განმარტება იმისა, თუ რა გავლენა იქონია ფასს-ებზე გადასვლის მიზნით მომზადებულმა პირველმა ფინანსურმა ანგარიშგებამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების ნაკადებზე არ არის წარმოდგენილი.

2.3 შემოსავლის აღიარება

გაყიდული მომსახურების აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს და ფასდათმობის გარეშე.

2.4 წარდგენის ვალუტა

ჯგუფის თითოეული წევრის ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (“ქართული ლარი”).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად, აშშ დოლართან მიმართებაში იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 1 იანვარი	2.5922	3.1044
2019 წლის 1 იანვარი	2.6766	3.0701
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

2.5 ძირითადი საშუალებები

2018 წლის 1 იანვრისათვის წარდგენილი ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით ან “ჩათვლილი ღირებულებით” მსს ფასს 35 თავის - მსს ფასს გადასვლის შესაბამისად. ამ თარიღის შემდეგ შეძენილი ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით, რომელზეც დაკლებულია დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერადან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღირიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
მანქანა-დანადგარები	7-39
ლიზინგით მიღებული აქტივების გაუმჯობესება	13-25.
საოფისე აღჭურვილობა	1-10,14-17.
სატრანსპორტო საშუალებები	10

2.6 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 3 წლის გაანგარიშებით.

2.7 არამონეტარული აქტივების გაუფასურება

ის არამონეტარული აქტივები, რომელთაც არ აქვს განსაზღვრული ცხოვრების ხანგრძლივობა და, ასევე, ის აქტივები, რომლებიც არიან მზად გამოყენებისათვის, არ ერიცხება ცვეთა ან ამორტიზაცია, ისინი ექვემდებარებიან გაუფასურების ყოველიურ ტესტირებას. ეს აქტივები, რომლებიც ექვემდებარებიან ცვეთას და ამორტიზაციას, ექვემდებარებიან გაუფასურებაზე ტესტირებას მაშინ, როდესაც გარკვეული მოვლენა ან ნებისმიერი პირობის ცვლილება მიუნიშნებს, რომ შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულება ვერ იქნას ამოღებული. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით, რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებადი თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის დონეზე, რომლის დონეზეც იდენტიფიცირდება განცალკევებული

ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები, გარდა გუდვილისა, მიმოიხილება გაუფასურების შეზღუდვების გაუქმების მიზნით.

2.8 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების გაწევით და საქონლის მიწოდების შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ მათი ამოღება ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად შესაბამისად.

2.10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მომსახურების ან საქონლის შესყიდვის შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა დავალიანებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ მათი გადახდა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად შესაბამისად.

2.11 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში მოგება ზარალის პერიოდში.

2.12 იჯარა

საოპერაციო იჯარად განიხილება იჯარა რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებელი გადაცემა არ ხდება მოიჯარეზე. საპირისპირო შემთხვევაში იჯარა განიხილება როგორც ფინანსური იჯარა. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აისახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის მთელი პერიოდის მიხედვით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში აქტივების კაპიტალიზაცია ხდება მოიჯარესთან, აქტივების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალურ საიჯარო გადასახადების მიმდინარე ღირებულების უმცირესი თანხით.

ფინანსური იჯარის შემთხვევაში ყოველი საიჯარო გადასახდელის განაწილება ხდება საიჯარო ვალდებულებასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯის (პროცენტი) დარიცხვა მოგება ზარალის ანგარიშგებაში ხდება იმდენად რომ გამოყენებული იყოს მუდმივი განაკვეთი საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ბალანსთან მიმართებაში. იჯარის ფარგლებში მიღებული ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხორციელდება საიჯარო ვადისა და აქტივის ცხოვრების ხანგრძლივობის შორის უმცირესი ვადის მიხედვით.

2.13 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვა ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.14 მოგების გადასახადი

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განახორციელებლად.

ჯგუფის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს ჯგუფი იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. ჯგუფის შეფასება ეფუძნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის ჯგუფიც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ ანულირება გაუკეთა მისი ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს და ვალდებულებას.

2.15 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებულ მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.16 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.17 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო

პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ფოთის პორტის ტერმინალისა და მასთან დაკავშირებული აქტივების ფინანსური და ოპერაციული იჯარა. კომპანიამ მოიპოვა ფოთის პორტის რამოდენიმე ტერმინალისა და მასთან დაკავშირებული აქტივების გამოყენების უფლება 2003 წლის 1 სექტემბერს და 2005 წლის 1 დეკემბერს, კონტრაქტის ხანგრძლივობა განისაზღვრება 25 წლით. მხარეთა თანხმობის შემთხვევაში ეს პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს კიდევ ხუთი წლით. კომპანია პასუხისმგებელია აქტივების მოვლა შენახვაზე, ნებისმიერი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, შეკეთება შეთანხმებული უნდა იქნას იჯარის გამცემთან.

კომპანიის მენეჯმენტმა ჩათვალა რა რომ აღნიშნული ოპერაცია შეიცავს როგორც ფინანსურ ასევე ოპერაციული იჯარის ელემენტებს, კომპანიამ დანერგა შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

- ვინაიდან, ტერმინალთან დაკავშირებული აქტივების გამოყენების უფლება მოიცავდა ამ აქტივების ცხოვრების ხანგრძლივობის უდიდეს ნაწილს, ამ ნაწილში ჩათვალა რომ აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებელი გადაცემა ხდებოდა მასზე. შედეგად ამ ნაწილში ოპერაცია ასახული იყო როგორც ფინანსური იჯარა. ფინანსური იჯარის ვალდებულების და აქტივების თავდაპირველი აღიარება მოხდა პროფესიონალი შემფასებელის მიერ შეფასებული აქტივების სამართლიანი ღირებულების მიხედვით;
- უშუალოდ ტერმინალის, რომელიც მოიცავს სპეციალიზირებულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობას, კონტრაქტუალური გამოყენების უფლება არ მოიცავდა მისი ცხოვრების ხანგრძლივობის ძირითად ნაწილს რის გამოც ამ ნაწილში იჯარა ჩაითვალია საოპერაციო იჯარად;
- იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანიის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი (შეფასებით 12%) გამოყენებულია როგორც იჯარის ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი ფინანსური იჯარისა და საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების გაყოფის მიზნით.

მსს ფასს შესაბამისად იჯარის დაწყების მომენტში მოიჯარე აღიარებს აქტივებს და ფინანსური იჯარის ვალდებულებას აქტივების სამართლიანი ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადებების მიმდინარე ღირებულების უმცირესი თანხით. მსს ფასს სპეციფიკურად არ განიხილავს, თუმცა ბასს 17 მე-16 პარაგრაფი განიხილავს საკითხს მიწისა და შენობა ნაგებობის იჯარასთან დაკავშირებით: „მინიმალური საიჯარო გადასახადელი (ხელშეკრულებამდე გადახდილი ნებისმიერი საერთო თანხის ჩათვლით) უნდა განაწილდეს მიწასა და შენობა-ნაგებობებს შორის იჯარის დასაწყისში, საიჯარო ქონების რეალურ ღირებულებაში მიწის ელემენტისა და შენობა-ნაგებობის ელემენტის პროპორციულად“. საიჯარო ქონების რეალურ ღირებულებაში მიწის ელემენტისა და შენობა-ნაგებობის ელემენტის შეფასება მოითხოვს მიწის ელემენტისა და შენობა-ნაგებობის ელემენტების განცალკევებული სამართლიანი ღირებულების შეფასებას. მართალია ეს საკითხი პირდაპირ არ ეხება კომპანიის იჯარის ოპერაციას, თუმცა იგივე მიდგომის გამოყენება შესაძლებელი იყო ტერმინალისა და ტერმინალთან დაკავშირებული ქონების იჯარის გადასახადებების განაწილების მიზნით. ტერმინალის შეფასების კომპლექსურობიდან გამომდინარე კომპანიის მენეჯმენტმა მოახდინა მხოლოდ ტერმინალთან დაკავშირებული მოწყობილობების შეფასება და მთლიანი სახელშეკრულებო გადასახადელები გამოყო ამ მონაცემით და ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში რელევანტური მოწყობილობების მიმდინარე საბალანსო ღირებულების, ფინანსური იჯარის ვალდებულების, ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯის და ტერმინალის საოპერაციო იჯარის ხარჯის წარდგენილი მონაცემების ამსახველი ცხრილი:

	2019 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის	2018 წლის 1 იანვრისათვის
ფინანსური იჯარით აღებული მანქანა დანადგარები	5,181	5,620	6,059
ფინანსური იჯარის ვალდებულება	6,533	6,705	7,083
ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯი	829	813	
ტერმინალის საოპერაციო იჯარის ხარჯი	13,094	11,327	

საიჯარო გადასახადების განაწილება რომ მომხდარიყო ტერმინალისა და ტერმინალთან დაკავშირებული ქონების რეალური ღირებულებათა მიხედვით მაშინ შესაძლოა ზემოთ მოცემულ ანგარიშგებაში ასახული მონაცემები ყოფილიყო განსვავებული.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განიცემული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითარებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

საეჭვო ვალების რეზერვი. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორი აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიკურ პირობებს რომლებიც კორელაციაშია კომპანიის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივების ისტორიული საკრედიტო მახასიათებლები და გაუფასურების პირობები მსგავსია მიმდინარე აქტივებისა მაშინ შეფასებისას გამოიყენება ეს ისტორიული მონაცემები. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ საეჭვო ვალების წარდგენილი მონაცემები წარმოადგენს დებიტორების გაუფასურების თანხის საუკეთესო შეფასებას (იხილეთ ახსნა განმარტებითი შენიშვნა 3).

შპს “ბი ენდ პი”

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ძირითადი საშუალებები

	იჯარით- აღებული ქონების კეთილმო- წყობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება					
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,293	11,198	99	21	12,611
შეძენა	-	852	20	-	872
გასვლა	-	(99)	(7)	-	(106)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,293	11,951	112	21	13,377
შეძენა	-	2	4	-	6
გასვლა	-	(175)	-	-	(175)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,293	11,778	116	21	13,208
ცვეთა:					
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	349	4,202	80	7	4,638
პერიოდის ცვეთა	58	693	11	2	764
გასულის ცვეთა	-	(26)	(5)	-	(31)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	407	4,869	86	9	5,371
შეძენა	60	742	10	2	814
გასვლა	-	(143)	-	-	(143)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	467	5,468	96	11	6,042
წმინდა საბალანსო ღირებულება:					
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	944	6,996	19	14	7,973
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	886	7,082	26	12	8,006
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	826	6,310	20	10	7,166

კომპანიის მანქანა დანადგარები მოიცავს ქვემოთ მოცემულ აქტივებს რომელსაც კომპანიას ფლობს ფინანსური
იჯარის სახით (ფინანსური იჯარის დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 12-ში):

შპს “ბი ენდ პი”

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	მანქანა- დანადგარები (ფინანსური იჯარა)	სულ
ისტორიული ღირებულება		
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	9,376	9,376
შეძენა	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,376	9,376
შეძენა	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,376	9,376
ცვეთა:		
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,317	3,317
პერიოდის ცვეთა	439	439
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,756	3,756
პერიოდის ცვეთა	439	439
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,195	4,195
წმინდა საბალანსო ღირებულება:		
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,059	6,059
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,620	5,620
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,181	5,181

4. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები მოიცავს მასალებს და დამხმარე ნაწილებს.

5. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	4,119	4,093	6,362
საექვო ვალების რეზერვი	(132)	(132)	(133)
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	3,987	3,961	6,229

6. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
წინასწარ გადახდილი გადასახადები	201	1,947	614
გადახდილი ავანსები	17	21	1
წინასწარ გაწეული ხარჯები	-	22	14
სულ გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	218	1,990	629

შპს “ბი ენდ პი”

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,444	540	1,405
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	387	445	692
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,831	985	2,097

8. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	1,706	1,863	1,219
გადასახდელი ხელფასები	278	-	95
სხვა კრედიტორული დავალიანება	17	-	19
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2,001	1,863	1,333

9. შემოსავალი

	2019 წლისათვის	2018 წლისათვის
ფოტის პორტში ჩატვირთვა გადმოტვირთვის მომსახურება	25,134	17,990
სხვა შემოსავალი	13	6
სულ შემოსავლები	25,147	17,996

10. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	2019 წლისათვის	2018 წლისათვის
ნავმისადგომის იჯარა	13,094	11,327
შრომის ანაზღაურება	3,313	2,487
ტრანსპორტირების ხარჯი	1,209	1,357
მასალები	958	846
ცვეთა	802	751
სარემონტო სამუშაოები	58	32
ელექტროენერგიის ხარჯი	200	190
სხვა ხარჯი	497	617
სულ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	20,131	17,607

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019 წლისათვის	2018 წლისათვის
შრომის ანაზღაურება	1,691	1,512
საგადასახადო ხარჯი	142	113
დაზღვევის ხარჯი	49	26
აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	40	24
ცვეთა და ამორტიზაცია	13	13
კომუნიკაციის ხარჯი	6	6
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	53	60
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,994	1,754

12. ფინანსური ხარჯი (ნეტო)

	2019 წლისათვის	2018 წლისათვის
მოგება საკუროსო სხვაობიდან	530	235
ფინანსური ლიზინგის საპროცენტო ხარჯი	829	813
საპროცენტო შემოსავალი	(61)	(33)
სულ ნეტო ფინანსური ხარჯი (ნეტო)	1,298	1,015

13. ფინანსური იჯარა

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
ფინანსური იჯარის მოკლევადიანი ნაწილი	793	747	731
ფინანსური იჯარის გრძელვადიანი ნაწილი	5,740	5,958	6,352
სულ	6,533	6,705	7,083

ლიზინგის ვალდებულების დაფარვის გრაფიკი:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
დასაფარია შემდეგი პერიოდების განმავლობაში:			
1 წელში	793	747	731
1-3 წელში	1,287	1,201	1,163
3-6 წელში	1,930	1,801	1,744
6 წლის შემდეგ	2,523	2,956	3,444
სულ	6,533	6,705	7,083

ლიზინგის ვალდებულება წარდგენილია შემდეგ ვალუტაში:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
აშშ დოლარი	6,533	6,705	7,083

ფოთის პორტის ტერმინალებისა და მასთან დაკავშირებული აქტივების ფინანსური და ოპერაციული იჯარა. კომპანიამ მოიპოვა ფოთის პორტის რამოდენიმე ტერმინალისა და მასთან დაკავშირებული აქტივების გამოყენების უფლება 2003 წლის 1 სექტემბერს და 2005 წლის 1 დეკემბერს, კონტრაქტის ხანგრძლივობა განისაზღვრება 25 წლით. მხარეთა თანხმობის შემთხვევაში ეს პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს კიდევ ხუთი წლით. კომპანია პასუხისმგებელია აქტივების მოვლა შენახვაზე, ნებისმიერი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, შეკეთება შეთანხმებული უნდა იქნას იჯარის გამცემთან.

კომპანიის მენეჯმენტმა ჩათვალა რა რომ აღნიშნული ოპერაცია შეიცავს როგორც ფინანსურ ასევე ოპერაციული იჯარის ელემენტებს, კომპანიამ დანერგა შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

- ვინაიდან, ტერმინალთან დაკავშირებული აქტივების გამოყენების უფლება მოიცავდა ამ აქტივების ცხოვრების ხანგრძლივობის უდიდეს ნაწილს, ამ ნაწილში ჩათვალა რომ აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებელი გადაცემა ხდებოდა მასზე. შედეგად ამ ნაწილში ოპერაცია ასახული იყო როგორც ფინანსური იჯარა. ფინანსური იჯარის ვალდებულების და აქტივების თავდაპირველი აღიარება მოხდა პროფესიული შემფასებლის მიერ შეფასებული აქტივების სამართლიანი ღირებულების მიხედვით;

- უშუალოდ ტერმინალის, რომელიც მოიცავს სპეციალიზირებულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობას, კონტრაქტიალური გამოყენების უფლება არ მოიცავდა მისი ცხოვრების ხანგრძლივობის ძირითად ნაწილს რის გამოც ამ ნაწილში იჯარა ჩაითვალა საოპერაციო იჯარად;
- იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანიის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი (შეფასებით 12%) გამოყენებულია როგორც იჯარის ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი ფინანსური იჯარისა და საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების გაყოფის მიზნით.

მსს ფასს შესაბამისად იჯარის დაწყების მომენტში მოიჯარე აღიარებს აქტივებს და ფინანსური იჯარის ვალდებულებას აქტივების სამართლიანი ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადების მიმდინარე ღირებულების უმცირესი თანხით. მსს ფასს სპეციფიკურად არ განიხილავს ასეთ სახის ოპერაციას, თუმცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდტი (ბასს) 17 მე-16 პარაგრაფი განიხილავს საკითხს მიწისა და შენობა ნაგებობის იჯარასთან დაკავშირებით: „მინიმალური საიჯარო გადასახადი (ხელშეკრულებამდე გადახდილი ნებისმიერი საერთო თანხის ჩათვლით) უნდა განაწილდეს მიწასა და შენობა-ნაგებობებს შორის იჯარის დასაწყისში, საიჯარო ქონების რეალურ ღირებულებებში მიწის ელემენტისა და შენობა-ნაგებობის ელემენტის პროპორციულად“. საიჯარო ქონების რეალურ ღირებულებაში მიწის ელემენტისა და შენობა-ნაგებობის ელემენტის შეფასება მოითხოვს მიწის ელემენტისა და შენობა-ნაგებობის ელემენტების განცალკევებული სამართლიანი ღირებულების შეფასებას. მართალია ეს საკითხი პირდაპირ არ ეხება კომპანიის იჯარის ოპერაციას, თუმცა იგივე მიდგომის გამოყენება შესაძლებელი იყო ტერმინალისა და ტერმინალთან დაკავშირებული ქონების იჯარის გადასახადების განაწილების მიზნით. ტერმინალების შეფასების კომპლექსურობიდან გამომდინარე კომპანიის მენეჯმენტმა მოახდინა მხოლოდ ტერმინალთან დაკავშირებული მოწყობილობების შეფასება და მთლიანი სახელშეკრულებო გადასახადები გამოყო ამ მონაცემით და ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ლიზინგთან დაკავშირებული ჯამური მონაცემები მოცემულია ქვემოთ:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სრული ფინანსური დავალიანება-მინიმალური ლიზინგის გადასახადები:			
1 წელში	1,409	1,387	1,413
1-3 წელში	2,587	2,559	2,881
3-6 წელში	3,302	3,298	3,757
6 წლის შემდეგ	3,308	4,042	4,910
სულ სრული ფინანსური დავალიანება-მინიმალური ლიზინგის გადასახადები	10,606	11,286	12,961
ფინანსური ლიზინგის მომავალი პერიოდის ფინანსური ხარჯები	(4,073)	(4,581)	(5,878)
ფინანსური ვალდებულების დღევანდელი ღირებულება	6,533	6,705	7,083

ფინანსური ვალდებულების დღევანდელი ღირებულება მოცემულია ქვემოთ:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
1 წელში	793	747	731
1-3 წელში	1,287	1,201	1,163
3-6 წელში	1,930	1,801	1,744
6 წლის შემდეგ	2,524	2,956	3,445
სულ	6,533	6,705	7,083

შპს „ბი ენდ პი“

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ტერმინალების საოპერაციო იჯარის მომავალი პერიოდის მინიმალური გადასახდელების ჯამური მონაცემები მოცემულია ქვემოთ:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
1 წელში	13,835	12,432	11,312
1-3 წელში	29,272	26,321	24,283
3-6 წელში	48,119	43,313	40,083
6 წლის შემდეგ	83,666	93,604	105,147
სულ	174,892	175,670	180,825

ფინანსური აქტივები დაცულია ფინანსური ლიზინგით აღებული აქტივებით რომელიც გადაეცემა მოიჯარეს ლიზინგის გაუქმების შემთხვევაში.

14. ფინანსური ინსტრუმენტები

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
ფინანსური აქტივები			
ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	6,818	4,946	8,326
ფინანსური ვალდებულებები			
ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	8,239	8,568	8,302

15. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. შპს „ბი ენდ პი“ არის ერთ-ერთი მესამე პირი სასამართლო დავაში, რომელიც დაიწყო 2014 წელს. ეს არის კომპლექსური (მრავლისმომცველი) სამოქალაქო დავა, რომლის ერთ ერთი სადაო საკითხია შპს „ბი ენდ პი“-სა და „ფოთის საზღვაო კორპორაცია“-ს შორის მე-9 და მე-10 ტერმინალებთან დაკავშირებით დადებული იჯარის ხელშეკრულების ნამდვილობა. ჯგუფის მენეჯმენტი, შეფასების შედეგად, არ ელოდება რაიმე არასასურველ (უარყოფით) შედეგებს ამ დავისაგან.

16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

შპს “ბი ენდ პი”

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2019 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებელთან, დირექტორებთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	დედა კომპანია	სხვა დამფუძნებლები	სხვა დაკავშირებუ ლი მხარეები და ჯგუფის სხვა წევრები	მენეჯმენტი
დებიტორული დავალიანება	14	-	2,284	-
მიღებული ავანსები	2	-	-	-
გადასახდელი დივიდენდები	-	596	-	-
შემოსავალი	120	-	13,343	-
შესყიდვები	227	-	672	-
განაწილებული დივიდენდები	1,600	400	-	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი)	-	-	-	401

2018 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებელთან, დირექტორებთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	დედა კომპანია	სხვა დამფუძნებლები	სხვა დაკავშირებუ ლი მხარეები და ჯგუფის სხვა წევრები	მენეჯმენტი
დებიტორული დავალიანება	-	-	3,959	-
კრედიტორული დავალიანება	543	-	6	-
მიღებული ავანსები	535	-	-	-
გადასახდელი დივიდენდები	-	596	-	-
შემოსავალი	212	-	12,505	-
შესყიდვები	806	-	91	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი)	-	-	-	357

2018 წლის 1 იანვრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებელთან, დირექტორებთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	დედა კომპანია	სხვა დამფუძნებლები	სხვა დაკავშირებული მხარეები და ჯგუფის სხვა წევრები	მენეჯმენტი
დებიტორული დავალიანება	-	-	6,132	-
კრედიტორული დავალიანება	7	-	8	-
მიღებული ავანსები	215	-	-	-
გადასახდელი დივიდენდები	-	595	-	-

17. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

COVID-19-ის პანდემიის გავლენა. 2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. პირველი შემთხვევა საქართველოში, ოფიციალურად, 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების ნაწილის სახით, საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა დროს დააწესა სხვადასხვა სახის შეზღუდვები. კომპანიის მიმდინარე ოპერირების, საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე დაყრდნობით კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის ეკონომიკურ გარემოზე პანდემიის ზემოქმედების გამო მის მოკლევადიან ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერირების შედეგებზე მნიშვნელოვან ნეგატიურ ეფექტს, თუმცა არ გამოირიცხავს პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პერიოდის გაგრძელების, შეზღუდვების მასშტაბის გაფართოების შედეგად მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგებს საშუალო და გრძელვადიან პერიოდისათვის. კომპანია ოპერატიულად აანალიზებს ამ შესაძლო ნეგატიურ სცენარებს და მზადაა საოპერაციო გეგმების მოდიფიკაციისთვის.

დივიდენდები. 2020 წლის იანვარში კომპანიამ განაწილა დივიდენდები 1,500 ოდენობით

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 ივნისი. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „ბი ენდ პი“-ს

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
მმართველობითი ანგარიშგება/საქმიანობის მიმოხილვა

მმართველობითი ანგარიში

1. კომპანია და მისი დამფუძნებლები

შპს „ბი ენდ პი“ (კომპანია) დაარსდა 2003 წლის 19 მარტს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო კოდი: 215120223). კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფოთის პორტში ტვირთის ინსპექტირება, ჩატვირთვა/გადმოტვირთვის სამუშაოების შესრულება. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. ფოთი, ტაბიძის ქ. N 3.

2019 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის წილის მფლობელებს წარმოადგენდნენ: მისი დედა კომპანია შპს ტრანსფორდი 80% (საიდენტიფიკაციო კოდი: 404386151) და შპს ვილჰელმსენ შიფს სერვის ჯორჯია 20% (საიდენტიფიკაციო კოდი: 204564514). შპს ვილჰელმსენ შიფს სერვის ჯორჯიამ შეისყიდა კომპანიის 20 % პროცენტიანი წილი შპს ბარვის ჯორჯიასგან 2019 წლის დეკემბერში. სხვა ცვლილება დამფუძნებლების სტრუქტურაში არ მომხდარა.

2. შემოსავლები

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს ფოთის პორტის 8,9,10 ტერმინალებისა და მასთან დაკავშირებული აქტივების გამოყენებით ჩატვირთვა გადმოტვირთვის მომსახურება. კომპანიამ მოიპოვა ფოთის პორტის რამოდენიმე ტერმინალისა და მასთან დაკავშირებული აქტივების გამოყენების უფლება 2003 წლის 1 სექტემბერს და 2005 წლის 1 დეკემბერს, კონტრაქტის ხანგრძლივობა განისაზღვრება 25 წლით. მხარეთა თანხმობის შემთხვევაში ეს პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს კიდევ ხუთი წლით. კომპანია პასუხისმგებელია აქტივების მოვლა შენახვაზე, ნებისმიერი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, შეკეთება შეთანხმებული უნდა იქნას იჯარის გამცემთან.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფოთის პორტში ტვირთის ინსპექტირება, ჩატვირთვა/გადმოტვირთვის სამუშაოების შესრულება, შემოსავლების ოდენობა მოცემულია ქვემოთ:

	2019 წლისათვის	2018 წლისათვის
ფოთის პორტში ჩატვირთვა გადმოტვირთვის მომსახურება	25,134	17,990
რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	9	5
სხვა შემოსავალი	4	1
სულ შემოსავლები	25,147	17,996

ტვირთბრუნვის ოდენობა 2019, 2018 და 2017 წლების შესაბამისად წარმოადგენს 1,383,608, 1,021,461, 1,158,723 ტონას.

შპს“ზი ენდ პი“-ს მართველობითი ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები

ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები განთავსებულია იჯარით აღებულ ტერმინალზე. მათი ფინანსური დეტალები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	იჯარით- აღებული ქონების კეთილმო- წყობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება					
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,293	11,198	99	21	12,611
შეძენა	-	852	20	-	872
გასვლა	-	(99)	(7)	-	(106)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,293	11,951	112	21	13,377
შეძენა	-	2	4	-	6
გასვლა	-	(175)	-	-	(175)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,293	11,778	116	21	13,208
ცვეთა:					
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	349	4,202	80	7	4,638
პერიოდის ცვეთა	58	693	11	2	764
გასულის ცვეთა	-	(26)	(5)	-	(31)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	407	4,869	86	9	5,371
შეძენა	60	742	10	2	814
გასვლა	-	(143)	-	-	(143)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	467	5,468	96	11	6,042
წმინდა საბალანსო ღირებულება:					
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	944	6,996	19	14	7,973
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	886	7,082	26	12	8,006
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	826	6,310	20	10	7,166

კომპანიის მანქანა დანადგარები მოიცავს ქვემოთ მოცემულ აქტივებს რომელსაც კომპანიას ფლობს ფინანსური იჯარის სახით (ფინანსური იჯარის დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 12-ში):

შპს“ზი ენდ პი“-ს მართველობითი ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	მანქანა- დანადგარები (ფინანსური იჯარა)	სულ
ისტორიული ღირებულება		
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	9,376	9,376
შეძენა	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,376	9,376
შეძენა	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,376	9,376
ცვეთა:		
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,317	3,317
პერიოდის ცვეთა	439	439
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,756	3,756
პერიოდის ცვეთა	439	439
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,195	4,195
წმინდა საბალანსო ღირებულება:		
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,059	6,059
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,620	5,620
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,181	5,181

4. საქმიანობის განვითარების გეგმები

საწარმოს ამ ეტაპზე არ გააჩნია არსებული ოპერირების გარდა სხვა საქმიანობის განვითარების გეგმები.

5. დასაქმებულთა რაოდენობა

საწარმოში დასაქმებულია 318 თანამშრომელი.

6. გარემოს დაცვის საკითხებზე თუ რაიმე ტიპის ზეგავლენას ახდენს კომპანია და ჩატარებული აქვს რაიმე სახის კვლევა

ასეთი სახის კვლევა საწარმოში არ ჩატარებულა.

7. ფინანსური რისკების გარდა კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავი ანალიზი

ქვემოთ მოცემული ფინანსური რისკების ანალიზის გარდა სხვა რისკების ანალიზი კომპანიაში არ ჩატარებულა.

8. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას ფილიალები არ აქვს.

9. რისკების მართვა

კომპანიის და მისი დედა კომპანიის შპს ტრანსფორდი ჯგუფის ფინანსური რისკების და კაპიტალის მართვის პოლიტიკა მოცემულია შპს ტრანსფორდი ჯგუფის კონსოლიდირებულ 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნაში.

10. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანიაში საკუთარი აქციების შესყიდვას ადგილი არ ქონია.

11. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა

კომპანიას კვლევები არ უწარმოებია.

12. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა განმარტებები.

2019 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ 2020 წლის 30 ივნისს.

ბნ. ჯუმბერ ცომაია გენერალური დირექტორი

შპს "მაგთის" მართვლობითი ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა


კომპანიას კვლევები არ უწარმოებია.

12. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჰქონდა დამატებითი ახსნა განმარტებები.

2019 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მართვლობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ 2020 წლის 30 ივნისს.

ბნ. ჯუმბერ ცომაია გენერალური დირექტორი



About Baker Tilly

Baker Tilly is a full-service accounting and advisory firm that offers industry specialised services in assurance, tax and advisory.

Baker Tilly Georgia LLC trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.



Contact us

Baker Tilly Georgia LLC
BC Menteshvili Rows
Tbilisi 0105, Georgia
7 Bambis Rigi Street
office@bakertilly.ge
T: +995 032 2 483 999
www.bakertilly.ge